

აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობა

მთავარი სპეციალისტი

- ფაკულტეტების საჭიროებების შესწავლა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით;
- პროფესიული განათლების პროგრამების სამუშაო ვარიანტების შემუშავება;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი (სასერტიფიკატო) კურსების ორგანიზება
- სწავლების თანამედროვე მეთოდებთან და დარგობრივი ცოდნის გაღრმავების საკითხებთან დაკავშირებული სემინარების ორგანიზება;
- კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
- კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, დონორ ორგანიზაციებთან, ფონდებთან და სხვა ორგანიზაციებთან;
- უცხოურ ორგანიზაციებთან საქმიანი მიმოწერის წარმოება;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობა;
- საპროექტო წინადადებების შედგენაში მონაწილეობა;
- ცენტრის ვებ გვერდის შექმნაში მონაწილეობა;
- ცენტრის საქმიანობის ამსახველი მასალის ვებ გვერდზე განთავსება.

უფროსი სპეციალისტი

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სასერტიფიკატო პროგრამების მომზადების ორგანიზება;
- სისტემატური ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება შემდეგ საკითხებზე: სწავლების თანამედროვე მეთოდები, ელექტრონული სასწავლო კურსების მომზადება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლების და კვლევის პროცესში; საგრანტო პროექტის წერა; უცხო ენები; სილაბუსის წერა; საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის შემუშავება; შეფასების 100 ქულიანი და მრავალკომპონენტის სისტემა; ECTS კრედიტი, მენეჯმენტი და სხვ.

სპეციალისტი

- ზრდასრულთა პროფესიული განათლების მიმართულებების სფეროების დადგენა;
- მრგვალი მაგიდებისა და დისკუსიების ორგანიზება;
- ზრდასრულთა განათლებისთვის სასერტიფიკატო და არასასერტიფიკატო სასწავლო კურსების/მოდულების მომზადება ფაკულტეტებთან თანამშრომლობით;
- ტრენინგისა და პროფესიული განვითარების მსურველთა მოზიდვის მიზნით შესაბამისი ინფორმაციის მომზადება და გავრცელება;
- სისტემატური ტრენინგების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება.